# მიტროპოლიტ ილარიონის სამძიმარი პეტრე მამონოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით



*2021 წლის 15 ივლისს, კორონავირუსის ინფექციით გამოწვეული გართულებისგან, 70 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი რუსი მსახიობი და მუსიკოსი პეტრე ნიკოლოზის ძე მამონოვი. ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა განსვენებულის მეუღლეს ო. ი. მამონოვას, მის ნათესავებსა და ახლობლებს სამძიმრის წერილი გაუგზავნა. წერილში ნათქვამია:*

პატივცემულო ოლღა ივანეს ასულო!

ძვირფასო ძმებო და დებო!

ღრმა მწუხარებით შევიტყვე პეტრე ნიკოლოზის ძე მამონოვის გარდაცვალების ამბავი.

მშობლიურმა კულტურამ მძიმე დანაკლისი განიცადა.

ჩვენგან წავიდა ბრწყინვალე ადამიანი, მსახიობი, მუსიკოსი, რომელმაც იპოვა ღმერთისკენ თავისი გზა და ეს გზა სხვა მრავალ ადამიანსაც მიასწავლა.

ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება მის მიერ წაკითხული ღირსი ისააკ ასურის ტექსტები, რომელიც გაეცხადა მას და რომელსაც ის სხვებს უცხადებდა.

დაე, ღირსი მამა დახვედროს მას იმქვეყნიურ ცხოვრებაში, და დაე, სული მისი განუსვენოს ყოვლადმოწყალე უფალმა იქ, სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არცა სულთქმა, არამედ ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

თანაგრძნობით,

**ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი**

---

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87740/